პაატა გერგაია

(1965 – 2024)

ნაადრევად გამოაკლდა კავკასიის უნივერსიტეტს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი პაატა გერგაია. პაატა გერგაია - დაიბადა 1965 წლის 12 ოქტომბერს. 1995 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ასპირანტურა. 2006 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ქართული ანარქისტული მიმდინარეობა და მისი თავისებურებანი“.

პაატა გერგაია სხვადასხვა დროს სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტში, კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროში და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოში, ასევე გაზეთებში „მაცნე“ და „ახალი ქართული გაზეთი“.

2018 წლიდან იგი იყო კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი და აქტიურად იყო ჩართული კვლევით და საგანმანათლებლო საქმიანობაში. კავკასიის უნივერსიტეტში მოღვაწეობის პერიოდში მისი ავტორობით გამოიცა 7 სამეცნიერო მონოგრაფია და არაერთი სტატია. მანამდე ბატონი პაატას მოღვაწეობა 60-მდე პუბლიცისტურ-ანალიტიკურ სტატიას და 3 წიგნს ითვლიდა. გამოსაცემად მზადდებოდა მისი ფუნდამენტური ნაშრომი „დიდი რუსობა“.

პაატა გერგაიას გამოარჩევდა აზროვნებისა და წერის განსაკუთრებული, დახვეწილი და ორიგინალური მანერა. მისი ნაშრომები ეხება ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო საკითხების გააზრებას ისტორიის და პოლიტიკის ფილოსოფიის ჭრილში.

პაატა გერგაიას აზრიან, ფიქრებით სავსე ტექსტებს სათქმელი ბევრი აქვთ, და არის მის ტექსტებში რაღაც ეგზალტაციის მსგავსი. ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როცა შინაგანი წინააღმდეგობები დაძლეულია და საკუთარი იდენტობა ყველაზე საკრალურშია ნაპოვნი. საკრალური კი ავტორისთვის - მისი ტექსტებია. ტექსტი მისი აზროვნებაა, ტექსტი მისი სამყაროა, აქ ის ყველაზე თავისუფალია.

თავისუფალი აზროვნება - ეს ის სივრცეა, რომელშიც ფილოსოფოსი ცხოვრობს, განგებას კი უყვარს რჩეულებთან „თამაში“: მას ისინი მუდმივი გამოწვევის რეჟიმში ჰყავს.

პაატა გერგაიამ თავისი ტექსტებით შეძლო ყოფილიყო თავისებური და თავისუფალი.

ბატონი პაატას გარდაცვალება დიდი დანაკლისია მისი ოჯახისა და ახლობლებისათვის, კავკასიის უნივერსიტეტისა და მთლიანად ქართული აკადემიური სივრცისთვის.

Paata Gergaia

(1965 - 2024)

Professor Paata Gergaia, doctor of historical sciences, has sadly passed away, bringing an untimely end to his tenure at Caucasus University.

Paata Gergaia, born on October 12, 1965, completed his postgraduate studies in 1995 at the Faculty of History at Ivane Javakhishvili Tbilisi State University. In 2006, he defended his dissertation on "The Georgian Anarchist Movement and Its Peculiarities."

Paata Gergaia had been involved in scientific and social activities across various organizations, including the Department of Monuments Protection at the Ministry of Culture and Sport of Georgia as well as the State Agency for Religious Issues. He has also contributed to the newspapers “Matsne” and “Akhali Qartuli Gazeti”.

Since 2018, Paata Gergaia served as an affiliated professor at the Caucasus University School of Humanities and Social Sciences, where he actively engaged in research and teaching. During his time at the university, he authored seven scientific monographs and numerous articles. Prior to this, he had published approximately 60 journalistic and analytical articles along with three books. His major work, “Great Russian Invasion”, was also in preparation for publication.

Paata Gergaia was known for his distinctive, refined, and original approach to thinking and writing. His works deal with the understanding of national and social issues through the lens of history and political philosophy.

Paata Gergaia's deeply thoughtful texts have a lot to say, they resonate with something akin to exaltation. This only happens when one’s inner resistances are overcome and a profound sense of identity is found in something sacred. For authors, sacred are their texts. They are their expression, their world, and in them, they find their freedom.

Free thinking is the space in which the philosopher lives, and providence enjoys “playing” with the chosen ones, keeping them in a continuous state of challenge.

Paata Gergaia was able to be peculiar and free with his texts.

The passing of Mr. Paata Gergaia is a profound loss for his family and loved ones, for Caucasus University, and for the entire Georgian academic community.